ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3084035

ნომერი: AR1475948

თარიღი : 04.02.2017

გაცემის თარიღი : 09.02.2017

გაცნობის თარიღი : 09.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გახოკიძე , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით მუნჯიშვილი პ/ნ 01030031279
- ვაზისუბანი 3 მ/რ. 1 კვ. 1 კორპუსი, ბინა 14

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსერვისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1475948 (04.02.17.) განაცხადის პასუხად გაცნობებთ: მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.19.19.005.005, 2012 წლის 27 მარტის #96929 გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სასაწყობე შენობის ფუნქციით, რომლის საფუძველზე #343344 (10.09.12.) ბრძანებით შეთანხმებულია პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვაც. იმ შემთხვევაში თუ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ობიექტი არ არის მიღებული ექსპლუატაციაში რეკომენდირებულია მოითხოვოთ #96929 (27.03.12.) გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა სასურველი ფუნქციის დამატების მიზნით. ცვლილება უნდა მოითხოვოს ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან აქტის განმცხადებელმა. შესაძლებელია აღნიშნული პირები დაფიქსირდნენ თანაგანმცხადებლადაც ან წარმოდგენილ იქნეს აღნიშნული პირების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ცვლილებასთან დაკავშირებით. საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოსადგენი იქნება ტერიტორიის გენგეგმა სადაც უნდა იქნეს დაფიქსირებული ახალი ობიექტის მოცულობა.

იმ შემთხვევაში თუ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არის ობიექტი მიღებული ექსპლუატაციაში და წარმოადგენთ აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტს შესაძლებელია მსჯელობა ახალი აქტის გაცემაზე, ასევე ტერიტორიის გენგეგმის საფუძველზე სადაც იქნება დაფიქსირებული ახალი ობიექტის მოცულობა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.